

1  
1948



ნახ. შ. ცხადაძისა

ორი ფორმა

16/21 8  
5  
228

— ჩვენ უკვე ჩვენს ფორმაში ვართ, მაგრამ სახელმძღვანელოების დროზე გამოცემა და მოწოდების საქმე როდისღა ჩადგება თავის ფორმაში?!

Обязательный экземпляр



# ფანქარული ინკუზი

წარმოდგინეთ შაიოს სასახლის ერთ-ერთი დარბაზი, სადაც ამ დღეებში ფანქარული ინტერვიუ შექმნა მარშალთან. მარშალი, მოგესხნებათ, გვარია იმ კაცისა, რომელიც ტრუმენის ლოცვა-კურთხევით აღგენს ქვეყნების დამონების, საბჭოთა კავშირის გარემოცვისა და ახალი ომის გაჩაღების გეგმას. ისიც კარგად იცით, რომ ამ „გეგმის“ საფუძველზე, ამერიკული ძველმანებით მან რამდენიმე ქვეყნის რეაქციული მთავრობა უკვე იყიდა.

ახლა იგი (ე. ი. მარშალი) პარიზში ბრძანდება—გენერალური ასამბლეის გამოსაშვიგნად.

ნუ იუცხოვებთ ამ სიტყვას: გენერალური ასამბლეა ხომ იმ აზრით ჩამოყალიბდა, რომ ქვეყნად მშვიდობიანობის საფუძველი განემტკიცებინა. მაშასადამე, თუ ასამბლეას წარმოვიდგინოთ როგორც მშვიდობიანობის ანატომიურ აპარატს, მაშინ მარშალიც, ტრუმენიც და მათი დამქაშებიც უნდა წარმოვიდგინოთ როგორც სალახები (თქვენი ასოციაციის ამბავი რომ ვიცო—სალახანებს იგულისხმებთ!), ტრიალებენ საყასბო დანებით და ცდილობენ გამოაცალონ შიგანი, რომ იგი იმპერიალიზმის საკაზმით გამოტყონ როგორც ომის კუბატი.

ახლა ისინი ამ „კუბატის“ ატომით გამოტყენას ცდილობენ და მას მშვიდობიანობის პროდუქტად ასაღებენ. სწორედ ამიტომ არ გამიკვირდა, როცა დარბაზში შესვლისას მარშალი „მშვიდობის ანგელოზის“ გრიმში და კოსტუმში დავიანახე: იჯდა იგი სავარძელში და მხრებზე ანგელოზისებური, მუყაოს ფრთები ედგა. ხელში კი—დახატული ზეთისხილის რტო ეჭირა და მაგიდაზე ატომის საწერი ნივთები ელაგა.

დარბაზში რომ შეველ—გაცებუნდი, გაეჩერდი და ჩაეჩინებო დაეცქერდი სავარძელში ნეზვივით ჩაგორებულ კარიკატურას.

—მშვიდობიანობის მონას, მისტერ მარშალს თუ ეძებთ, მე ვახლავართ, —ხენვით მომმართა მან.

—კი მაგრამ, —წამოვიწყე მე. მან სიტყვა შემაწყვეტინა:

—ვიცი, ვიცი, თქვენ გინდათ მკითხოთ, თუ რას ნიშნავს ეს ჩემი მორთულობა! ეს, ჩემო მისტერ, მშვიდობის მოციქულის სამოსელია! ხომ მოგესხნებათ—ყველა ხელობას თავისი ფორმა აქვს: მაგალითად მღვდელს ანაფორა აცვია, ჟანდარმს—მუნდირი, მეც, როგორც...

—მაშასადამე ჟანდარმობიდან ანგელოზობაზე გადაგინაცვლებიათ, არა? სასიამოვნოა, თუ კარგად ასრულებთ ამ თანამდებობას.

—ე-ე!... თქვენ რას გულისხმობთ?—შემეკითხა მარშალი ტკეპნით.

—მე ვგულისხმობ, რომ, რაკი მშვიდობის ანგელოზის თანამდებობა მიგილიათ, მაშასადამე, მშვიდობიანობასაც მხარს დაუჭერთ.

—მაგას რაღა კითხვა უნდა?—მომიგო მან ორკოფული ჩალიმებით, —მეც და მისტერ ტრუმენიც სიხარულით ცას ვეწვევით, როცა, მაგალითად, ვისმენთ საბჭოთა დელეგაციის განცხადებას იმის შესახებ, რომ მათ მშვიდობიანობა სურთ.

—საინტერესოა. მაშ უნდა დავასკვნათ, რომ თქვენ გაგიხარდებოდათ ამხ. ვიშინსკის განცხადება ატომური იარაღის მოსპობის შესახებ.

—ო, ო, მთელის გულით, მისტერ ფარსადან, მთელის გულით.

—სასიამოვნოა, მაშ გამოდის, რომ თქვენ ხმას მისცემთ ატომური იარაღის აკრძალვას.

—რაღა თქმა უნდა.

—და აკრძალვით ატომის ბომბის დამზადებას ამერიკაში.

ამ სიტყვებზე მარშალი სავარძელში ახტა და მუყაოს ფრთები ჩამოსცვივდა, განცვიფრებით შემომხედა და უფრო მეტის განცვიფრებით შემეკითხა:

—რაო? ამერიკაშიო? ამერიკა რა შუაშია?

—აკი სთქვით—მთელის გულით მხარს დაუჭერთ ატომური იარაღის აკრძალვას და ვიშინსკის განცხადებაც გულით გამიხარდაო.

—არა, მისტერ ფარსადან!—მე ასე არ მიტყვამს.

—ახლა არ ბრძანეთ?

—რა?

—ატომური იარაღის აკრძალვას მხარს ვუჭერთო?  
—ესთქვი.  
—მაშ რატომ უარყოფთ?  
—მე უარყოფ ატომური იარაღის წარმოების აკრძალვას ამერიკაში.

—მაშ რაღას უჭერთ მხარს?  
—მხარს ვუჭერთ იმას, რომ ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ ლაპარაკი მუდმივ თავშესაქცევ რეპერტუარად შემოვიღოთ ჩვენს კონფერენციებზე. ამასთანავე მხარს ვუჭერთ იმას, რომ ამერიკის გარდა ყველა სახელმწიფოს აკრძალოს ატომური იარაღის შემოღება და ხმარება, რადგან ეს ჩემი პირდაპირი მოგალეობაა, როგორც მშვიდობის მოციქულისა, გესმით თუ არა? რას ნიშნავს ეს?

—მესმის: ეგ იმპერიალიზმის პოტენციოტური ლოლიკაა, ეგ ომისათვის ბოღვაა, ეგ ნიშნავს იმას, რომ სიტყვა „მშვიდობიანობა“ თქვენ გესმით, როგორც ომი და საყოველთაო სისხლისღვრისათვის მზადება. ეს მრისხანე გაფრთხილება თქვენ ერთხელ კიდევ მოისმინეთ შაიოს სასახლეში ამხანაგ ვიშინსკის განცხადებიდან. მე თქვენთან საუბარი დროს დაკარგვად მიმიჩნია.

მარშალი ფეთიანივით წამოხტა, მუყაოს ფრთები და ანგელოზის გრიმი მოიგლიჯა და ის ჩვეულებრივ ჟანდარმად წარმოსდგა დარბაზში. და როცა დარბაზიდან გამოვიდოდი, ის ჟანდარმი ღორბლის ყრითა და მაგიდაზე ხელების ტყაპუნით ყვიროდა:

—პროპაგანდა, კომუნისტური პროპაგანდა! ყარ-რაუ-ულ!  
ზარსადანი

## ლოკი მუხის ქვეშ

ამერიკის დიპლომატია უკვე აშკარად იბრძვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმპერიალისტურ აპარატად გარდასაქმნელად.

ნახ. შ. ვაღბოლსკისა



მას როლი თავის ღინჯისა, ღორულად ესმის, ცხადია: მყარ მუხას ფეხებებს უჩიჩქნის,

მისი წაქცევა სწადია, მაგრამ სად თქმულა, რომ ახდეს ღორული დანაქიდია?



# „გაქანებული“ ვაქრობა

„თბილვაქრობამ“ ქუჩებში გამოუშვა სავაქრო ავტო-კიოსკები.

# საჩივარი თბილისის საბჭოში

(გადმოკეთებული რუსულიდან)

არა, რა მოხდა ბოლოს და ბოლოს,  
 აქა ვარ დილით და საღამოთი...  
 მე ბინას ვითხოვ, ხამ ოთახს მხოლოდ  
 აბაზანით და საკუჭნაოთი.  
 ხეობს შეხავალი შქონდებს თავისი  
 და აივანზე შუშაბანდები;  
 იყო ჭიფი, იყო ხალისი  
 საპურმარილოდ თუ მობრძანდებით.  
 თქვენ ვინაობას მკითხავთ მეთელ!  
 არ მიცნობთ? ხწორედ გასაკვირია!  
 მე ხომ სიძე მყავს ლაურიატი,  
 ჩემი დისწული შრომის გმირია.  
 ცენტრალურ ფოსტის გამგეა ბიძა,  
 ძმას პროკურორად ფოთში გზავნიან,  
 მართლა, კინაღამ არ დამავიწყდა,  
 ჩემი ბაბუა პარტიზანია.  
 მამინაცვალი პროფესორია,  
 დაც-მხატვარია სახელგანთქმული,—  
 ახლა გენერალ-მაიორია  
 ჩემი ბიძოლას გერის ნათლული,  
 ძმისშვილიც კიდევ დეპუტატია.  
 მაგრამ დახედეთ ერთი ამ გავთეს:  
 აი ეს კაცი, აქ რომ ხატია  
 დღეს ცნობილია მთელს ქვეყანაზე:  
 ომის გმირია, ოსტატი ბრძოლის...  
 შესახებდავად ლომს შეხადარია—  
 და ის ხომ ჩემი უოფილი ცოლის  
 ქმარია, დიას, ახალი ქმარი.  
 მე თვითონ ვინ ვარ? რას მკითხავ, რატომ?  
 ნუთუ თქვენ ახლაც ვერ გამიცნაით?  
 მე ბინას ვითხოვ, ხამ ოთახს მარტო,  
 საკუჭნაოთი და აბაზანით.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

განგაღა

ნახ. გ. ფირცხალავასი



— მართლაც რომ გაქანებული ვაქრობაა, მყიდველი ვერ წამოეწევა!

## რამ დააჯიშა ალათი?

გულის ფანჯრით ელოდა მთელი ჩემი  
 ოჯახი თეატრების სეზონის გახსნას. მთელი  
 ჩემი ოჯახი მეთქი, რომ ვამბობ, აქ უნდა  
 გვიგულისხმობთ მე, ჩემი მეუღლე და რვა წლის  
 ბიჭი, რომელსაც მეზობლები უკვე ერთხმად  
 აძლევენ თავზე ხელაღებული რეკომენდაციას.

სეზონის გახსნის მეხუთე დღეს თეატრის  
 ორი ბილეთი შევიძინე და საღამოს ხუთი  
 საათიდანვე შევეუდექი ჩემი თავზე ხელაღე-  
 ბულის დაყვავებას. ვპირდებოდი უამრავ მო-  
 კოლადს, სათამაშო ავტომანქანას და სხვა  
 ათას რამეს, თუ სახლში დარჩებოდა, არ  
 გაგვეტყობოდა და ცელქობის მხრივ რამდენ-  
 ნიმე საათს შეისვენებდა.

ქრთამი ზოგჯერ მოზრდილსაც კი ჰხიბ-  
 ლავს და ბავშვის ნებისყოფა რას გაუძლებდა.  
 დათანხმდა და მე და ჩემი ალათი თეატრის  
 გზას გავეუდექით...

წარმოდგენის პირველი მოქმედება საკმა-  
 ოდ მოგვეწონა, მაგრამ ანტრაქტი არ დაგ-  
 ვიჯდა კუთხეში:

ალათიმ წარმოდგენის პროგრამა გაშალა,  
 ორიოდ წამს თავისთვის რაღაც იბუტბუტა  
 და ელდნაკარავით მომმართა:

—კაცო, იმ ვადარეულმა არაფერი მოი-  
 წიოს!

—ვინ, ქალო?!—გკითხე თვალგაფართო-  
 ებულმა, რადგან მეგონა, რომ ჩემი ალათი  
 წარმოდგენის რომელიმე გმირზე ნაღვლობდა.

—ვინ და ჩვენმა ბიჭმა.

—რა უნდა მოიწიოს, საიდან მოგაგონდა  
 ახლა!

—პლიტა, არ გახსოვს, გამოვთიშეთ?

—რა ვიცი, წყალი შენ ვააცხელებ და მე  
 შეკითხები?!  
 —იმის ჩიჩინში ადამიანს რაღა გაგახსენდე-  
 ბა?—საყვედურით თქვა ალათიმ და დაამატა:

—წავიდეთ გეთაყვა, ასეთ ყურებას, მირჩე-  
 ნია სულ არა ვნახო წარმოდგენა!

—რა დროს ეგ არის, ხომ ჰხედავ მეორე  
 მოქმედება იწყება!

—კაცო, შენი არ მიკვირს? მაგათი მოქ-  
 მედების გულისთვის ოჯახი გინდა გადამა-  
 ბუგვინო?!

—კი მაგრამ ოჯახს რა მოუვიდოდა, რა  
 დაგემართა?!

—ვერა, ბატონო, ვერ მოვითმენ... შენ  
 თუ ვერ შეეღვი, დარჩი, რა ვქნა... ჩემი არ  
 მიკვირს? როდის იყო, რომ შენ ოჯახზე ფიქ-  
 რობდი!

ცილისწამებისა და საყვედურის გადმო-  
 ფრქვევის შემდეგ, ალათიმ გულმოსული დიპ-  
 ლომატივით დატოვა დარბაზი და გზას გაუ-  
 დგა. თეატრიდან რომ ცოლი გაგმქცევა,  
 რაღა გეწარმოდგენება! ავდექი და მეც უკან  
 გავქე.

მხოლოდ ქუჩაში წამოვეწიე.

—ასე რომ მოფრატუნობ, შე უხეირო,  
 სახლს კიდევ მიუსწრებ? შეიძლება დაიწვა  
 კიდევაც მთლიანად... ვაიმე შეილო! კარები  
 რაღამ დამაკეტვინა, მე უბედურს!

ფეხს ავუჩქარე.

—სირბილიც არ გვიშველის. არა, გეთაყვა,  
 მანქანა თუ არ დაგიქირავეთ, გული რაღაცა  
 ცუდს მეუბნება!—ახალი წინადადება წამოა-  
 ყენა ალათიმ.

ეს სურვილიც შევუსრულე—მანქანაში ჩავ-  
 სხედით და ბინას მივუახლოვდით თუ არა,  
 ასე ორასი ფეხის ნაბიჯზე, ალათი შემეკითხა:

—შეხედე, კაცო, ის, კვამლი არ არის,  
 ჩვენი სახლის სახურავთან რომ მოჩანს?—  
 და ჩემი პასუხისთვის აღარ დაუცდია, ისე  
 მორთო ცრემლნარევი ყვირილი.

—სახლში მივედით, ყველაფერი თავის ად-  
 ვისადაა.

გილზე იყო. ბიჭს ეძინა და ძლივს გამოვალ-  
 ვიძეთ, ოც წუთს მაინც ვაკაუუნებდით კარებ-  
 ზე.

—რა ახბრებული აზრი აგვევიატა, რა  
 დაგემართა, რომ თეატრი დამატოვებინე!—  
 მოვეყ საყვედურების შებრუნებას.

—რ. დამემართა? ამის შემდეგ როგორ  
 არ დაგემართება!—და ალათიმ წინ დამიღო  
 თეატრის პროგრამა. დახედე. ვკითხულობ:

„დიასახლისებო! სახლიდან წასვლისას  
 ჩააქრეთ თუ არა ნავთქურა? გამორთეთ თუ  
 არა ნავთქურა? გამორთეთ თუ არა ელექტრო-  
 გამხურებელი ხელსაწყოები?“

დიასახლისებო! შედამხედველობის გარე-  
 შე ხომ არ დასტოვეთ ბავშვები? დაუმაღეთ  
 თუ არა ბავშვებს ასანთი?

მოქალაქენო! გახსოვდეთ, უფრო ადვილია  
 ხანძრის მიზეზის წინასწარ აღკვეთა, ვიდრე  
 მისი ჩაქრობა“.

ქვეშ კი, გულის დასამშვიდებლად მსხვი-  
 ლი შრიფტით სწერია:

„საოჯახო ქონების ნებაყოფლობითი დაზ-  
 ლვევა უზრუნველყოფს ხანძრისა და სხვა  
 სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებული  
 მეურნეობების დაღუპული ქონების აღდგე-  
 ნას...“

ცოლს რაღას ვეტყობი. თეატრის პრო-  
 გრამის შემდგენის მისამართით კი გავიფიქ-  
 რე: შე კაი კაცო, საღამოს, რადიოთი რომ  
 გადმოგვცემ ხოლმე რა წარმოდგენა მიდის  
 შენს თეატრში და რომელ საათზე იწყება,  
 მაშინ არ შეგიძლია გაგვფრთხილო, რომ  
 ნავთქურა არ დაგვრჩეს ანთებული, ან ელექ-  
 ტროგამხურებელი ხელსაწყო შეერთებული,  
 თორემ „სახლავლევვა“ ზარალს აგვინახა-  
 ურებს?!

გ. ივანიშვილი






ერთ-ერთი დაწესებულებას ჩემი ვალი ემართა.  
—კაცო, გიორგი, როდის მომცემთ, ძმაო, ჩემს ფულს?—ვერ უკლი ხოლმე ბუღალტრებს.  
—შემოიარე ხევა,—მომასუბუნებ იგი და ასე ამგვარადა: „ხევა მოდი“, —ზეგ შემოიარე“, ამი კვირაში გამოიარე“—თის ბიჭურებულ უკველითის.  
მოიხილა იგი სიარული, მაგრამ ერთ დღეს მინც გადავწყვიტე შევივლო—ტყუებ რაიმე ინასთან მეოთხე.  
—გოგონის სიკაცსულ!—მივცალაძე.  
—ოჰ, სიდა ხარ, ძმაო, შენ, რამდენჯერ მქონდა ფული, მეტი გინატრე, მაგრამ არ გამოხდნი,—მითხრა და ხელი ჩამომართო.  
—მეტი, შე კაცო, ხომ იცი ჩემი ტრულფონის ნომერი, ვე დაიბრძე?  
—სადღაც დამკარგა.  
—ახლა? ახლა როგორია საკმე?—გეთხებ მინც.  
—შემოიარე ხევა...  
მეტი რა გზა შექონდა... რაიკი სასამართლოში ჩივილს არ ვა პირივდი, გამოვბრუნდი.  
დღურებში დიხრავდი დამეწია.  
—სიდიდის გვეყვებით, თქვენს მაგივრად მე ვარ შეწყუბუნებული... რამდენი ხანია ამ დაღიხართ და კიდევ ვერ მიიღეთ ფული, ხომ?— მომხმარა მან.  
—გურა მაგონა,—ტუასუბუ და მინდოდა გზა გამწვრტო, რომ მოხუცდეს ისევე შემეწია.  
—არ გამოვდი და რაღაცას გეტყვით,—მოკრპალებით მითხრის მან.  
—ბრძანეთ...  
—უნდა დაბატოთ, ხვალვე მიიღებთ თქვენს კუთვნილს.  
—მომცეს ფული და დავბატოვებ...  
—ნუ ყვირით, მეგობარო... ასე მისცა ერთ-ორს ფული, მაგრამ თავი რომ აღიარებ შეიწუხა, მეტი ჩემმა ბუღალტრითა ასე თქვა: —კუთ ვისწავლეთ, კუთა... წინასწარი უნდა დაბატოთ...  
—მეორე დღეს ვემოწვე თანხა და კვლავ ამ დაწესებულებას ვეტ ტუბრე.

მისი ბავაშვისთვის შვამბაძე


—ისეთი კარგი ღვინო მიუღიათ აგერ, რესტორანში, რომ მარ- ლაც მოგწონებოდა,—ღუთხარა გიორგის.  
—მართლა?—თვალის დაბრუნებით და ფეხზე წამოიდგომით მითხრა მან.  
—ღახ... არ წამობრძანდებით?—კვლავ ჩავეკრაო.  
—ოჰ, კაცო, რატომ ისარჯები! მაგრამ რა გიხიბია, იცი? რომ არ წამოვიდეთ, არ მივადრიაო იტყვი და თანხან ვერ... ნინა... თუ ვინემ მიკითხოს ფინანსში ვინები, მალე მოვალ,—გადასახსნა მან იქვე მავიდასთან მჯდარი მონაგვარიშეს და გიორგი გამოვიდით.  
ფინანსის ნაცვლად, ცხადია, ჩვენ ღვინოში შევედით.  
რაც იმთავითვე მერეგვოდა, იმ თანხის თითქმის ნახევარი შემე- მტარჯა, დამწვლადებისას მითხრა:  
—ისეთი კარგი სახანვე გუსხნიათ, აგერ, ახლოს, რომ უკეთე- სი არ შეიძლება. ცოგი ლუდიც ავიწ... ხომ არ გამოიძლი ხვალ დღით?  
—კი, ევ რა დიდი ამბავია,—ღუთხარა და წამოვიდი.  
მეორე დღით სახანვეში ვისვლელი.  
—ხვალ მოდი, ძმაო, და უნდაველ მოგცემ... არა, კი არ ვავექს ფული, მაგრამ, რაღაცას ვაგვიტოვებ. ახლა ეს კარგი ჰაპი- როსიც ვიყიდეთ და წავიდეთ.  
ჰაპიროსიც ვუსურვე.  
და როცა ჩემი დინახარკი დადაბლანე, რაც მერეგვოდა თით- ქის უკვე იმ თანხის რაოდენობა დაბარეულ მქონდა.  
მეორე დღეს, დაბრებისამებრ კვლავ ვეწვიდი.  
—გიორგი, ბატონო, გუშინ მოხსნეს სახანველიდან და პასუხის- გებში მისცეს გენი, მის ადგილს ჯერჯერობით მისი მოადგილე განაგებს. პურმარხილი ამას რომ უყვარს, გიორგი მეგონილია მას- თან...  
ფლანდაკრავი უკან გამოვბრუნდი და მას შემდეგ სულ ამის ვეფერება: მივიღე თუ არა გიორგის მოადგილესთან? დღის თუ არა, რომ ხუთასი მინუთის აღებისათვის ცაქმა ათასი მინუთი დაბარეულ? კ. მ. მალათილი



— რეცენზენტი გვარწმუნებს ძვირფასი ფიგრი გამოვიდაო, თქვენ რატომ არ მოყვინათ?  
— სწორედ იმიტომ, რომ ფიგრი მართლაც ძვირფასია და შინაარსით კი მტკიც იაფფასიანია გამოვიდა.

სკოლაში

ნახ. თ. კოჭიაშვილისა



— რა მოხდენს შემოღობას, ბავშვებო?  
— ზამთარი, სიცხე, უშეშობა, დირექტორის მოხსნა...

იჩითა მხაკის

ბახაკამიძელში პარაფიზის

ქალაქ აკრისში მოქალაქე ანტონიკო- მა ვინე ვიჭირე სუბანში. ერთხელ ფიჭერს ათი ათასი დღარად შევახვეთ საფასი თვალზე. სუბანის ფული ჰქონ- დებოდა შევლების გამოხატებად. ინდი- ნის შბატელი მოვიერ ფრანგ ახარებს თვალზეს გაუიღვას, რადგან მას ავაფ- კოვი ცოლს მივღას საწაფლას არა აქვს ანტიკულად ვაგრობი სუბანსაფრი ტონით აგროვებამდე, რომ ქარხნებში წარმატებით ვაწარმოებ ერთი მოქალა- ქის თვალზეს გაღვას მთავრ მოქალა- ქისათვის.  
ანტიკულ მოქალაქეთა ერთი ნაწილია, რომლისთვისაც ვერაფერი სახარბილო ვერაა ფურცლის დოღართი დაჯავიფიფი- თა მთერ მოწყობად „დემოკრატულ“ ცხოვრების, თვალზე რომ ამათის და მხოვლის ამაო, ვინც ათავს სახარბი- ლად მათურ თვდე „დემოკრატულად“ ცხოვრება, რა არის აქ ვახარებელი?

გაგლდინის სუბირი

ანტიკის კრამინილოვებს ინიტიტუტის ცნობით, ღონაწელობით უკვედ ზუვი წუთის და შევდ წაშლი ზედა ითიი მკვლელობა.  
რადგან ზეგანებია ანტიკულების მ- ერთეუ ადამიანებზე „ცლავარების სახარბილო, იქვე ხომ უკვედ ითა წუთ. შე და ხმ წაშლი ზედა ითიი დიდებელი?

აგს-ის ცხენი

ნახ. ლონისა



— მითხარა, გეთავაზ- ებოდა გელდინი რაცა არ მუშაობს—დასაწინის მ- უნდა დავურქავო, მაგრამ დანაწინებს ბიურის რამ? სუბანში, ვიღას დავურქავო?

თა ბიჯიშო



გაერთიანებული ერების ვი- ნეკრეკობაზე, პარაფიზის მიერ მონაგვარა საბანის, მარხილას და ბეგინის გან- ნახილ, პროფკაცულად გა- იღვარა საბანით დღევან- დელის წინადადების წინააღ- მდეც — ბატონური იარაღის არკოვლის შესებად. გავეთხებიდან

ნასუზარის მოლოდინში

— ერთი ბილეთი მომეცით და ორი ახონენტიც,—ორი შაური მინც დამეყოლო?  
— ვა, მამო ხე გენა, ყოველთვის ახახს ხომ არ დავაკლებთ, ვერა ხედავთ ცხოვრება გააფლად?

—რა აცოლებს ხმაიკს, საწყობებში არ აქვს, კიბლამბაფლად ხერხავთ რომ გამოაქვს და გაიქვს?  
—რა კანა? ვეი პატრონი ზუფი, ვინც წამცელით მკვებავ, ვაწარნილია და ისე ზეფხ, როგორც მწერაღვას ნებსი!  
—რა ხარკა ხერხ მოიხვევით, საბჭოეთის რომ ერჩიან?  
—ნახურაფლის მიმლოდინებ ვფლი მისთვის ერჩიან, რომ ამის ჩვენზე ყველი მარხილას და ჩერაღვს. ეს წუთის წყის არის მდგომ უფლის ჰუქნა, რომ პატრონი ნაწარავებს კინაქან ლუქანს.

შაპიკის მალაზიანი

ნახ. თ. კოჭიაშვილისა



— კაცო, ეს რა გენია, საწურობიდან ჩვენზე ფარბიკის მიერ დაწაფი- ბული ცული კოსტუმები წამოვიდა?! ვის მოაქვებთ, ვის მიხყიდ?!  
ბახაკამიძე



ნახ. ღონისა



დიდ პატივსა სცემენ ჩვენი ფაბრიკები ქალთა სქესს: ჩულქი იმდენი გამოუშვებს, ას წელიწადს ეყოფათ ქალებს, მამაკაცის წინდა კი—სანთლით საძებნია...

მაიკლ კუინი

ლიაკ-ლიაკის ზომის ოქროს საყვირები

ცნობილ მკვლევარს დოქტორ ემერი ჰორნსენს თავის უკანასკნელ წიგნში „ლიაკ-ლიაკის ტომის უცნაური ზნე-ჩვეულებანი“ მოჰყავს საინტერესო დაკვირვებანი სიტყვის თავისუფლების ირგვლივ ერთ ნაკლებად შესწავლილი კუნძულის მცხოვრებთა შორის.

სახელწოდებანი მცხოვრებთა ჰქონდა ლიაკ-ლიაკის ტომის მეთაურის სასახლე იგვი ბუმბუმში. დარბაზობის დროს დოქტორ ჰორნსენსმა ჰკითხა ტომის მეთაურს: რთ ეს თუ არა ნებას კანონი მოქალაქის თავისუფლად და დაუფარავად გამოსტყვევან თავიანთი შეხედულებანი.

— რა თქმა უნდა, — განაცხადა მეთაურმა, — ჩვენი კუნძულის მოსახლეობა სარგებლობს სიტყვის აბსოლუტური თავისუფლებით და კუნძულის მართვა-გამგეობა მთლიანად შეესაბამება ხალხის ნება-სურვილს.

— კეთილი, მაგრამ როგორ ატარებთ ამას პრაქტიკულად? — ჰკითხა დოქტორ ჰორნსენსმა. — როგორ გეტულობთ ხალხის შეხედულებას, როცა საქმე ეხება ამა თუ იმ საკითხს?

— ეს ძალიან უბრალოდ ხდება, — განმარტა მეთაურმა. — როცა რაიმე მნიშვნელოვანი საკითხია გადასაწყვეტი, ჩვენ თავს გუყრით მთელი კუნძულის მოსახლეობას ჩვენი რეზიდენციის ეზოში. ჩემი თანაშემწე კითხულობს პერგამენტის გრანდილზე აღბეჭდილ ყველა საკითხს, რომელიც განსახილველი და გადასაწყვეტია. ამის შემდეგ მე ვუსმენ ოქროს საყვირებს და ვტყობილობ ხალხის ნება-სურვილს.

— ოქროს საყვირებს რას ეძახით?

— ოქროს საყვირები, — აუხსნა მეთაურმა, — საზოგადოებრივი აზრის გამოთქმის ერთადერთი საშუალებაა. მე მაღლა ვწევ მარჯვენა ხელს და მივმართავ ხალხს: — მომხრებმა ჩაბერონ საყვირებს! მაშინვე ყველა ვინც წარმოდგენილი რეზოლუციის მომხრეა, ჩაბერავს ოქროს საყვირებს. ამის შემდეგ მაღლა ვწევ მარცხენა ხელს და ვაცხადებ: „მოწინააღმდეგენო, ჩაბერეთ საყვირებს!“ ამჟღავნებს ოპოზიცია ჩაბერავს ოქროს საყვირებს. ბუნებრივია, რომ ის მხარე, რომელთა საყვირებიც უფრო დიდ ხმას გამოსცემენ, შეადგენს უმრავლესობას, ამიტომ საკითხი მის სასარგებლოდ სწვდება.

— ჩემი აზრით, — თქვა დოქტორ ჰორნსენსმა, — ეს არის ყველაზე სრულყოფილი სახე დემოკრატიისა. მე ძლიერ მსურს დავსწავრო ხალხის ნება-სურვილის ამგვარ გამოთქმას, რათა ფორტოგრაფიით აღვბეჭდო მთელი ეს პროცედურა.

მეორე დღეს დოქტორ ჰორნსენსს საშუალება მიეცა ყოველივე თავისი საკუთარი თვალით ენახა. კუნძულის მთელ მოსახლეობას ერთი მნიშვნელო-

ვანი საკითხის გადასაწყვეტად თავი მოუყარეს სასახლის ეზოში. სულ შეიკრიბა დაახლოებით სამი ათასი კაცი. ყველანი შიშველ-ტიტველნი აყვნენ, მხოლოდ ზოგიერთს უფარავდა ძონძი თქობა.

ტერემონის დასაწყისში გამოჩნდა ოთხი კაცი. ისინი მდიდრულად იყვნენ გამოწყობილნი და შეკრებაზე ძვირფასი ტანსაცმელით მოიყვანეს.

— ესენი ვინ არიან? — იკითხა ჰორნსენსმა.

— ესენი ჩვენი კუნძულის უმდიდრესი ადამიანები არიან. — უპასუხა მეთაურმა.

როგორც კი მდიდრები მოვიდნენ, მეთაურის თანაშემწემ წაიკითხა გრანდილი. შემდეგ წინ წამოდგა მეთაური და აღმართა მარჯვენა ხელი.

— ვინც მომხრეა, ჩაბეროს! — დასტუტა მეთაურმა. ოთხმა მდიდარმა ამართა საყვირები და მთელი ძალიან ჩაბერა.

შემდეგ მეთაურმა მარცხენა ხელი აღმართა.

— ვინც წინააღმდეგია, ჩაბეროს! გამოაცხადა მეთაურმა და პროცედურა დასრულდა.

— რატომ მარტო ოთხმა მდიდარმა ჩაბერა ოქროს საყვირებს? — ჰკითხა დოქტორ ჰორნსენსმა.

— იმიტომ, რომ მარტო მათ აქვთ საშუალება იქონიონ ოქროს საყვირები, — აუხსნა მეთაურმა, — დანარჩენები უბრალო მუშა ხალხია.

— ჩემი აზრით, ეს სრულიადაც არ გავს სიტყვის თავისუფლებას, — უთხრა ჰორნსენსმა, — ხდება მხოლოდ ის, რომ მდიდართა მცირე ჯგუფი აყვირებს თავის საყვირს. ჩვენთან, ამერიკაში, ხალხს სრული თავისუფლება აქვს თავისი ნება-სურვილის გამოთქმისა.

— მართლაც? — წამოიძახა მეთაურმა, — მერე როგორ ხდება ეს?

— ამერიკაში, — უპასუხა ჰორნსენსმა, — ოქროს საყვირების ნაცვლად ჩვენ გვაქვს გახეთქები, ჟურნალები და რადიო.

— ეს მეტად საინტერესოა, მაგრამ ვის ხელშია ეს გახეთქები, ჟურნალები და რადიო? — იკითხა მეთაურმა.

— მდიდრების ხელში. — უპასუხა ჰორნსენსმა.

— მაშ თქვენთანაც ისე ყოფილა, როგორც ჩვენთანაა. — დაასკვნა ტომის მეთაურმა, — თქვენთანაც მარტო მდიდრები აყვირებენ თავიანთ საყვირებს და ამით სწვევებენ საკითხებს თავიანთ სასარგებლოდ.

სულ უბედობას უჩიოდა კირილე ქალბატონს. — ისეთი ბედისა ვარ. ზოგა რომ თაფლად იქცეს, ერთი კოვბიც არ მომიწევს, აბა რა აქვს შენ ქალბატონი? ჩემს სიცოცხლეში ერთხელ წავედი „დინამოს“ სტადიონზე, მოსკოვის „დინამოს“ — უჯიბრებოდა ჩვენი „დინამო“. ჩემს მეზობელს დავენადლევე — თბილისელები მოიგებენ მეთქი. თბილისის „დინამოს“ რომ მოგეო — ერთ ვახშამს მოგიგებდი, აქი წააგვს იმ შერტხვენილობაზე? ასეა ძმაო, ჩემს ბედს ალბათ ქვეს ქვეს სძინავს. ჩემს სიცოცხლეში არაფერი მომიგია.

— ჰო, შენ „დინამოს“ ნაგარიშზე ვახშამი წააგე, მე კი გულის ფრიალი მაქვს, და კისლოვოდსკში ვერ წავედი. — უსაყვედურა ცოლმა კირილეს.

— ესეც ჩემი უბედობაა თვარა, რაღა შენ აგიტყდა გულის ფრიალი, შენგნა ქალები ჩიტოვით დაფრინავენ. ავადმყოფობა არაა ისეთი, რომ შენ არ გაგჩენოდეს.

— მე მინდოდა თუ? არ გამაბრაზო თუ არა. ჩემი გულის ამბავი ხომ იცი — მგონი შეტყვევს მიწყებს.

— გეზუმრე მარკოვსა, — მიუაღწერს ცოლს კირილემ, იმის შიშით, რომ მართლა არ მოსვლოდა მაროს გულის ფრიალი, — მაროს ჰირიმე, საგზურს გიყვინდი და წადი კისლოვოდსკში.

კირილესა და მაროს შორის დიდხანს გაგრძელდებოდა ეს დავა. რომ ფოსტალიონი არ მოსულიყო.

— ინებეთ გახეთი.

— გახეთი თვარა, ჩემზე დაწერდნ რამეს, — საყვედურით გამოართვა კირილემ გახეთი.

— ობლიგაციის გათამაშების ცხრილია, იქნებ მოიგებ, ნახეთ, — უპასუხა ფოსტალიონმა და გზა განაგრძო.

კირილემ სხვათაშორის გადახედა ცხრილს. შეჩერდა.

— მოიცა, მოიცა... მგონი ორასი მანეთი მოგივებ შენ ქალო — წამოიძახა კირილემ.

— ორასი მანეთიო? რა იცი? ობლიგაციის ნომერი ხომ არ შეგიდარებია.

— ზეპირად ვიცი. ა... ნომერი... არის... სერია არის... მოიცა შენ ქალო, ორასი მანეთი კი არა, მგონი ათასი მანეთი გაგიჩნდა უცებ, სერიაც ემთხვევა და ნომერიც, ათასი მანეთია კი... აგერ ვარსკვლავიკ უხის.

— რას ამბობ, შენ კაცო?! — გულზე მოიკიდა ხელი მარომ.

— მოიცა ქალო. სათვალეები მომიტანე...

— სათვალეები რად გინდა, — დაბრმავდი თუ?

— მარო... ათასში... რამდენი ნოლია თუ გახსოვს?

— ბუღალტერი შენ ხარ და მე მეკითხები?

— მიპასუხე ქალო, აქ ეს ნოლები ისე გარბი-გამობრბინა, რომ... ასში ხომ ორი ნოლია?

— ხო, შენ კაცო.

— ათასში?

— სამი. კირილე, რა მოგივიდა? შენ გაქვს გულის ფრიალი თუ მე? — შეუკვივლა მარომ.

— დათვალე მეთქი.

— მაჩვენე...

ნაჩვენებ ციფრს დახედა მარომ. ერთი, ორი, სამი კირილეს. ოთხი... ათი ათასი... ათი ათასი... მიშველეთ! — იკვივლა მარომ, მკერდზე ხელი წაივლო და გულის მოსაბრუნებლად სახლში რომ ვერ მოისაზრა, მეოთხე სართულზე აიჭრა მეზობლებთან.

— წყალი... გული მიმდის... — მოიძახა მეზობელს.

— ათი ათასი... — და ლოგინზე დაეცა...

ატყდა ჩოჩოლი, მითქმა-მოთქმა, — კირილეს ჩხუბი აუტეხია მაროსათვის. მთელი ეზო ეფხზე დადგა. ჩოჩოლის ტალღა გავცდა ეზოს, უბანი შემოიარა და როცა ხალხი მოგროვდა, სახეზე ღიმილგადაფენილი მართ უკვე თავის ოთახში იყო და კირილესთან ტბილი დიალოგი გაება:

— კისლოვოდსკში გინდა წასვლა, მარკო?

— კისლოვოდსკში რა მინდა შენ კაცო, ასე საფლანგავი ფული სადა გვაქვს?!

— კი მარა, ერთი საათის წინ არ ჩხუბობდი — კისლოვოდსკში გამოსტუმრე, თვარა გულის შეტყვევები დამეწყებო?

— ფული რომ არ გვქონდა იმიტომ, ახლა კი დავმშვიდდი და გულის შეტყვევებაც გამოიარა.

— ბედნიერი კაცი ვარ, ბედნიერი.

— უბედობას რომ უჩიოდი?

— გეზუმრობდი შენ ქალო, თვარა, ჩვენს ქვეყანაში უბედურს რა უნდა? მარკო, ეს ობლიგაციები, ძველსკივრში რომ ჩაიწყვიდა, უკეთესი ადგილი ვერ მოუნახე? — უღვაშებზე გადაისვა ხელი კირილემ და ამყად გაიარ-გამოიარა.



ნახ. ღონისა



— უი ქა! რაც ჭურჭელია, სულ ამით დაუდვიათ თავზე და მე სადღა ვიშოვნო?

გელეგრაუს სძინავს

(სცენა წარმოადგენს სიღნაღის კავშირგაბმულობის განყოფილებას. ღამეა. მორიგე ქალი ტელეფონთან ზის)

შემკვეთი—ერთი, თუ შეიძლება, გენაცვალე, ყვარელს დამალაპარაკეთ...

მორიგე—ცოტა მოითმინეთ და ახლავე... გურჯაანი, გურჯაანი, გოგო, გესმის? მომეცი თელავი... თელავი... თელავი ხარ? გოგო, გესმის? ერთი, შენა ხარ? ყვარელი მომეცი, ყვარელი... არ გაგონებს? რატომ? ასე გითხრა ვიძინებ და თავი დამანებეთ? ა? გურჯაანი, რატომ გამთიშე გოგო... თელავი... ა? ყვარელმა დაიძინა? რაო? შენც იძინებ? შენი ჭირიმე სასწრაფო საქმე მაქვს, აქ პატივსაცემი ხალხია მოსული, ე, გოგო, გამიკეთე ეს საქმე, გესმის? თელავი... გურჯაანი... რა გინდა გოგო, რას მიშლი. ა? რაო? თელავმაც დაიძინა? გოგო, გესმის? ა? შენც იძინებ? რატომ ასე ადრე, გოგო...! იმათ დაიძინეს და შენ რაღა იმათზე ნაკლები ხარ? რას შერები, გოგო... აბა არ მიკეთებ ა? საქმეს? გურჯაანი, გურჯაანი... (მორიგე ტელეგრაფისტი ქალი ხელს ჩაიჭნევს, მწუხარედ განუმარტავს შემკვეთებს):

— რა გენა ბატონო, ყვარელმა, თელავმა, გურჯაანმა, ყველამ დაიძინა და მარტო მე აბა რა შემოძლია?

შემკვეთი—რა გამოვიდა? სასწრაფო საქმე მქონდა ყვარელში, თელავი და გურჯაანი რად მინდა?

მორიგე—ყვარელს რომ დაეუკავშირდეთ, ჯერ გურჯაანს უნდა დაეურეთო. გურჯაანი მოგვეცემს თელავს, თელავი—ყვარელს. მათ დაიძინეს და მარტო მე რაღა უნდა გაგაკეთო... ღამემშვიდობის... (კეტავს კარებს, აჭრობს სინათლეს და იძინებს).

შემკვეთი—რა გამოვიდა? სასწრაფო საქმე მქონდა ყვარელში, თელავი და გურჯაანი რად მინდა?

მორიგე—ყვარელს რომ დაეუკავშირდეთ, ჯერ გურჯაანს უნდა დაეურეთო. გურჯაანი მოგვეცემს თელავს, თელავი—ყვარელს. მათ დაიძინეს და მარტო მე რაღა უნდა გაგაკეთო... ღამემშვიდობის... (კეტავს კარებს, აჭრობს სინათლეს და იძინებს).

5უპრი

მექანიზებული მგზავრობა

სადგ. მეტეხიდან სოფ. წითელქალაქისაკენ (კასპის რაიონი) მგზავრების გადაყვანა უზრუნველყოფილი არ არის ტრანსპორტით. რითაც სარგებლობენ ეტლების კერძო მესაკუთრეები.

კორესპონდენტიდან

ნახ. ი. გორდელაძისა



შემატლი: მიიწ-მიიწით, ერთი-ორი მუშტარი კიდევ მელოდება და მერე კი არხინად გაგაქროლებთ.

კვალი ურცალებიდან

ილიას ჰკითხეს: რა უშველის უცემბოდ დარჩენილ თავადაზნაურობას ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ?

— თავადაზნაურობას ერთმანეთის ბეზღებაში რუსეთის მეფე პენსიას გაუჩენს და ამ მოკლე სიცოცხლეში ისიც ეყრფაო.

— : —

მოგზაურობის დროს დიოგენს შეხვდა პატარა ქალაქი, რომელსაც დიდი ალაყაფის კარები ჰქონდა.

— ჩქარა ჩაჰკეტეთ კარები, უთხრა მან მცხოვრებლებს, თორემ თქვენი ქალაქი გაგებარებათო.

— : —

ერთმა ექიმმა სოფლის ყრილობაზე თავი იქო:

— კაცი არ არისო, რომ ჩემის ხელობის გამო მემდუროდესო.

— ცოცხალი რომ აღარავინ გადავარჩა, ვილა დაგემდურებაო, — უპასუხა გლეხმა.

— : —

ერთი ჩვენებური მასწავლებელი მიდიოდა თურმე რკინის გზით, სხვათა შორის, მასთან ვაგონში მოდიოდა ერთი სოფლის დედაკაცი. დაიწყეს ლაპარაკი და დედაკაცმა ჰკითხა:

— ყმაწვილო, რა ხელობისა ბრძანდებიო?

— მე დედი, ჰკუას ვარიგებო, იოხუნჯა თურმე მასწავლებელმა.

— კიდევ იმიტომ შენ თვითონ ეგრე ცოტადა დაგჩენიაო, მოუჭრა დედაკაცმა სიტყვა ულაგო ოხუნჯს.

— : —

თავად ბიძინა ჩოლოყაშვილს ერთხელ თურმე გუბერნატორი ორლოვსკი სწევია სოფელ ახმეტაში. ეზოში თურმე გდებულა ძველადგანვე დარჩენილი ზარბაზნის ლულა. ორლოვსკის თვალი შეუსწვრია და უკითხავს მასპინძლისათვის.

— საკვირველია, აქამდის როგორ შეგჩენიათ ეგ ძველი ნაშთი?

— პრიკაზმა არ მიიღო გარაოდ და იმიტომ, ბატონო, უპასუხა ჩოლოყაშვილმა.

(„ფერია“)





— ძალიან შორს წავილა ჩვენი ნიკო, ალბათ მოსკოვამდე მიაღწევს.  
 — ტრაქტორით?  
 — რასაკვირველია ტრაქტორით, ნორმას ერთი-სამად ასრულებს, არ იქნება მთავრობის ფილდოზე არ წააყენონ და მოსკოვში წახვლა არ მოუხდეს.

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კაკლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1948 წ. 26/X. ტექსტი აწურობილია ლ. ბ. ბერაძის სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შეგ. № 1456. ლენინის ქ. № 28. დაბეჭდილია სტამბა „ნარბ ჟოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე. შეგ. № 1852. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 101, ტირ. 7600 ჯ 13762.